დელფინი და ზვიგენი

რა იცი დელფინისა და ზვიგენის შესახებ?

დელფინიც და ზვიგენიც ზღვებსა და ოკეანეებში ბინადრობენ. ისინი საკვებს წყალში პოულობენ და წყალშივე სძინავთ. ცურვისთვის ორივეს სჭირდება კუდი და ფარფლები. ზვიგენს უფრო მეტი ფარფლი აქვს, ვიდრე დელფინს.

ზვიგენს აქვს **ქერცლი**, დელფინს კი – **პრიალა** კანი.

ზვიგენს უამრავი წვეტიანი კბილი აქვს. წვეტიანი კბილები აქვს ასევე დელფინს. ორივე ხორცისმჭამელია. ისინი უფრო მეტად თევზებით იკვებებიან.

არსებობენ სხვადასხვა ზომის დელფინები და ზვიგენები. ზოგის სიგრძე რამდენიმე მეტრია.

ზვიგენი **ლაყუჩებით** სუნთქავს. ჟანგბადს ის წყლიდან იღებს. მისი გული ძალიან სუსტად მუშაობს, ამიტომ ზვიგენი არ უნდა გაჩერდეს, სულ უნდა იცუროს. ამით ის ეხმარება საკუთარ გულს, რომ სისხლმა უკეთ იმოძრაოს. დელფინს კი აუცილებლად სჭირდება ჰაერი. ის წყლიდან ვერ მიიღებს ჟანგბადს, რადგან ფილტვებით სუნთქავს. წყალი თუ ფილტვებში მოხვდა, დელფინი დაიხრჩობა. ამიტომ ის ბოლომდე ვერ იძინებს. ძილის დროსაც ნახევრად ფხიზლობს. სულ დაცურავს და **დროდადრო** წყლიდან ამოდის, რომ ჰაერი ჩაისუნთქოს.

ზვიგენების უმეტესობა ცივსისხლიანია. ზვიგენის სხეულს ისეთივე ტემპერატურა აქვს, როგორიც წყალს, რომელშიც დაცურავს. დელფინი კი თბილსისხლიანია.

ზოგი ზვიგენის ნაშიერი კვერცხიდან იჩეკება წყალში. ზოგი ცოცხლად იბადება. ახალდაბადებული ზვიგენი მშობლის დახმარების გარეშე იკვებება თევზითა და სხვა ცხოველებით.

დელფინები ნაშიერებს შობენ და შემდეგ ძუძუს აწოვებენ.

ზვიგენი თევზია. დელფინი კი თევზი არ არის. ის ძუძუმწოვარია ისევე, როგორც ხმელეთზე მცხოვრები სპილო, ძაღლი და ადამიანი.

რა გაიგე ახალი დელფინისა და ზვიგენის მსგავსებისა და განსხვავების შესახებ?

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 რით ჰგვანან ერთმანეთს ზვიგენი და დელფინი?

ა) ორივე თევზებით იკვებება და წყალშივე იძინებს.

ბ) ორივეს ნაშიერი წყალში კვერცხიდან იჩეკება.

გ) ორივე ჰაერის ჩასასუნთქად წყლიდან ამოდის.

2 რით განსხვავდება ზვიგენი დელფინისაგან?

ა) ზვიგენს ფარფლი აქვს, დელფინს — არა.

ბ) ზვიგენს ქერცლი აქვს, დელფინს — არა.

გ) ზვიგენს წვეტიანი კბილი აქვს, დელფინს — არა.

3 ზვიგენისაგან განსხვავებით, დელფინი წყლიდან ვერ იღებს ჟანგბადს, რადგან:

ა) მხოლოდ ფილტვებით სუნთქავს.

ბ) პრიალა კანი აქვს.

გ) ძუძუმწოვარი ცხოველია.

4 ზვიგენი მუდმივად მოძრაობს, რომ:

ა) მისმა გულმა უკეთ იმუშაოს.

ბ) მეტი თევზის დაჭერა შეძლოს.

გ) წყლის ზედაპირზე ადვილად ამოვიდეს.

5 რომელი ინფორმაცია *არ შეესაბამება* ტექსტს?

ა) ზვიგენი თბილსისხლიანი მტაცებელი თევზია.

ბ) ზვიგენს დელფინზე მეტი ფარფლი აქვს.

გ) ზოგი ზვიგენის ნაშიერი ცოცხლად იბადება.

ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. დელფინს **<u>პრიალა</u>** კანი აქვს.

   ა) ლაპლაპა. ბ) ქათქათა. გ) ხასხასა.

2. დელფინი **<u>დროდადრო</u>** წყლიდან ამოდის.

   ა) ზოგჯერ. ბ) იშვიათად. გ) ხშირად.

2 რომელი სიტყვაა განმარტებული?

1. ძვლოვანი პატარა ფირფიტები, რომლებიც თევზებს აქვთ სხეულზე, არის:

   ა) ლაყუჩი. ბ) ფარფლი. გ) ქერცლი.

2. ორგანო, რომლითაც თევზი სუნთქავს, არის:

   ა) ლაყუჩი. ბ) ფარფლი. გ) ქერცლი.

3 რომელია საპირისპირო მნიშვნელების სიტყვები (ანტონიმები)?

ა) მეტად – ძალიან. ბ) სუსტად – ძლიერად. გ) უმეტესობა – უმრავლესობა.

გრამატიკა

1 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ზვიგენი ჟანგბადს იღებს ----------. *(წყლიდან / წყლისგან)*
2. დელფინი და ზვიგენი წყალში ----------. *(ბინადრობს / ბინადრობენ)*
3. ორივე საკვებს წყალში ----------. *(პოულობენ / პოულობს)*
4. ზვიგენის სხეულს ისეთივე ტემპერატურა აქვს, ---------- წყალს. *(როგორც / როგორიც)*
5. დელფინიც ისე ნადირობს თევზზე, ---------- ზვიგენი. *(როგორიც / როგორც)*

გრამატიკა

2 დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.

ნიმუში: ის, რასაც წვეტი აქვს, წვეტიანია.

1. ის, რასაც ფარფლები აქვს, ----------. 2. ის, რასაც ლაყუჩები აქვს, ----------.

3 იპოვე შეცდომები და აღნიშნე X-ით.

	☒ *ჭირდება.*	☐ *სჭირდება.*
1.	☐ ძინავს.	☐ სძინავს.
2.	☐ დრო და დრო.	☐ დროდადრო.
3.	☐ აუცილებლად.	☐ აუცილებლათ.
4.	☐ ზოგიერთი ზვიგენები.	☐ ზოგიერთი ზვიგენი.

წერა

1 შეავსე ცხრილი. +-ით აღნიშნე ის ინფორმაცია, რომელიც შეესაბამება ზვიგენს, დელფინს ან ორივეს ერთად.

	ბინადრობს წყალში	იკვებება თევზით	სუნთქავს		ჟანგბადს იღებს		თბილსისხლიანი	ცივსისხლიანი	იბადება	იჩეკება	ნაშიერის კვება	
			ლაყუჩებით	ფილტვებით	წყლიდან	ჰაერიდან					წოვს ძუძუს	თევზით თვითონ
დელფინი	+											
ზვიგენი	+											

2 შენ მიერ შევსებული ცხრილის მიხედვით ჩაწერე ვენის დიაგრამაში ზვიგენისა და დელფინის მახასიათებლები. დაამატე ის ინფორმაცია, რომელიც მათ გარეგნობას ეხება.